

ირაკლი პაპავა

**ევროპის კავშირის ფუნქციონირების  
სამართლებრივი საფუძვლები:**

**საბაზისო აქტები და კომენტარები**

თბილისი

2014

# ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტია

(2007/C 303/01)

ევროპის პარლამენტი, საბჭო და კომისია საზეიმოდ აცხადებენ ქვემოთ მოცემულ ტექსტს, როგორც ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიას:

## პრეამბულა

ევროპის ხალხებმა, დაკავშირებულნი არიან რა ერთმანეთთან სულ უფრო მჭიდრო კავშირით, გადაწყვიტეს, ერთად გაიზიარონ საერთო ფასეულობებზე დაფუძნებული მშვიდობიანი მომავალი.

აცნობიერებს რა თავის სულიერ და ზნეობრივ მემკვიდრეობას, კავშირი ეფუძნება ადამიანის ღირსების, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის განუყოფელ და საყოველთაო ფასეულობებს. იგი ემყარება დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს. იგი თავისი საქმიანობის ცენტრში აყენებს ადამიანს, კავშირის მოქალაქეობის შემოღებისა და თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის შექმნის მეშვეობით.

კავშირი ხელს უწყობს ამ საერთო ფასეულობების შენარჩუნებასა და განვითარებას, ამასთან, პატივს სცემს ევროპის ხალხთა კულტურისა და ტრადიციების მრავალფეროვნებას, ასევე წევრი სახელმწიფოების ეროვნულ იდენტურობასა და მათი საჯარო ხელისუფლების ორგანიზაციას ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. იგი ცდილობს, ხელი შეუწყოს დაბალანსებულ და მდგრად განვითარებას და უზრუნველყოფს პირთა, მომსახურების, საქონლისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას, ასევე დაფუძნების თავისუფლებას.

ამ მიზნით, საზოგადოების შემდგომი ევოლუციის, სოციალური პროგრესისა და სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, აუცილებელია, გაძლიერდეს ძირითადი უფლებების დაცვა, ქარტიაში მათი უფრო ნათლად გამოხატვის გზით.

წინამდებარე ქარტია, პატივს სცემს რა კავშირის კომპეტენციასა და ამოცანებს და სუბსიდიარობის პრინციპს, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ უფლებებს, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობენ წევრი სახელმწიფოების საერთო კონსტიტუციური ტრადიციებიდან და საერთაშორისო ვალდებულებებიდან, ევროპის კონვენციიდან ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ, კავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ მიღებული სოციალური ქარტიებიდან, ასევე ევროპის კავშირის სასამართლოსა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სასამართლო პრაქტიკიდან. ამ კონტექსტში, ქარტიის ახსნა-განმარტება კავშირისა და წევრი სახელმწიფოების სასამართლოების მიერ იმ განმარტებების ჯეროვანი გათვალისწინებით ხდება, რომლებიც შედგენილი იქნა ქარტიის შემუშავებელი კონვენტის პრეზიდენტის ხელმძღვანელობით და რომლებიც მოგვიანებით ევროპის კონვენტის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის ქვეშ იქნა განახლებული.

ამ უფლებებით სარგებლობა წარმოშობს პასუხისმგებლობას და ქმნის ვალდებულებებს როგორც სხვა პირთა წინაშე, ისე ადამიანთა საზოგადოებისა და მომავალი თაობების მიმართაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კავშირი აღიარებს ქვემოთ მოცემულ უფლებებს, თავისუფლებებსა და პრინციპებს.

## პარი I. ღირსება

### მუხლი 1. ადამიანის ღირსება

ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. იგი ექვემდებარება პატივისცემასა და დაცვას.

**მუხლი 2.** სიცოცხლის უფლება

1. ყველას აქვს სიცოცხლის უფლება.
2. არავის შეიძლება შეეფარდოს სასიკვდილო განაჩენი ან სასჯელი.

**მუხლი 3.** უფლება პიროვნების მთლიანობაზე

1. ყველას აქვს უფლება საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ მთლიანობაზე.
2. მედიცინისა და ბიოლოგიური მეცნიერების სფეროებში, კერძოდ, უზრუნველყოფილი უნდა იქნას:

- a) დაინტერესებული პირის ნებაყოფლობითი და გააზრებული თანხმობა კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად;
- b) ევგენიკური პრაქტიკის აკრძალვა, განსაკუთრებით ისეთის, რომელიც ხალხთა შორის შერჩევას ისახავს მიზნად;
- c) ადამიანის სხეულისა და მისი ნაწილების, როგორც ასეთის, შემოსავლის წყაროდ გადაქცევის აკრძალვა;
- d) ადამიანური არსების რეპროდუქციული კლონირების აკრძალვა.

**მუხლი 4.** წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ასევე არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა და სასჯელს.

**მუხლი 5.** მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

1. არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში.
2. არავინ შეიძლება აიძულოს, შეასრულოს იძულებითი ან სავალდებულო შრომა.
3. ადამიანებით ვაჭრობა აკრძალულია.

**პარი II. თავისუფლებები**

**მუხლი 6.** თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება

ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

**მუხლი 7.** პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა

ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

**მუხლი 8.** პერსონალური მონაცემების დაცვა

1. ყველას აქვს მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება.
2. მსგავსი მონაცემების დამუშავება უნდა ხდებოდეს კეთილსინდისიერად, ზუსტად განსაზღვრული მიზნით და დაინტერესებული პირის თანხმობით ან კანონით გათვალისწინებული სხვა მართლზომიერი საფუძვლების არსებობისას. ყველას აქვს მის მიმართ შეგროვებული მონაცემებისადმი ხელმისაწვდომობისა და მათში შეცდომების გასწორების უფლება.
3. ამ წესების დაცვა ექვემდებარება დამოუკიდებელი ორგანოს კონტროლს.

**მუხლი 9.** ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება

ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება გარანტირებულია ეროვნული კანონების შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებენ ამ უფლების განხორციელებას.

**მუხლი 10.** აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიური მოსაზრებების გამო სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმის უფლება აღიარებულია ეროვნული კანონების შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებენ ამ უფლების განხორციელებას.

**მუხლი 11.** გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს საკუთარი შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.

2. მედიის თავისუფლება და პლურალიზმი დაცულია.

**მუხლი 12.** შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

1. ყველას აქვს თავისუფალი და მშვიდობიანი შეკრებისა და ნებისმიერ დონეზე, მათ შორის განსაკუთრებით პოლიტიკური საქმიანობის სფეროში, პროფესიულ კავშირებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში სხვებთან ერთად თავისუფლად გაერთიანების უფლება, რაც გულისხმობს ყოველი ადამიანის უფლებას, შექმნას პროფესიული კავშირები და გაერთიანდეს მათში, საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით.

2. პოლიტიკური პარტიები კავშირის დონეზე ხელს უწყობენ კავშირის მოქალაქეთა პოლიტიკური ნების გამოხატვას.

**მუხლი 13.** ხელოვნებისა და მეცნიერების თავისუფლება

ხელოვნება და სამეცნიერო კვლევა თავისუფალია. აკადემიური თავისუფლება უზრუნველყოფილია.

**მუხლი 14.** განათლების უფლება

1. ყველას აქვს განათლების უფლება, აგრეთვე უფლება ხელი მიუწვდებოდეს პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაზე.

2. ეს უფლება მოიცავს სავალდებულო განათლების უფასოდ მიღების შესაძლებლობას.

3. დემოკრატიული პრინციპების დაცვით საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნის თავისუფლება, ისევე, როგორც მშობელთა უფლება, განსაზღვრონ საკუთარი ბავშვების განათლებისა და სწავლების ხასიათი, თავიანთი რელიგიური, ფილოსოფიური და პედაგოგიური შეხედულებების შესაბამისად, უზრუნველყოფილია ეროვნული კანონების თანახმად, რომლებიც აწესრიგებენ ამ უფლებათა განხორციელებას.

**მუხლი 15.** პროფესიული საქმიანობის თავისუფლება და შრომის უფლება

1. ყველას აქვს შრომისა და მის მიერ თავისუფლად არჩეული ან მისთვის მისაღები პროფესიით საქმიანობის უფლება.

2. კავშირის თითოეულ მოქალაქეს გააჩნია ნებისმიერ წევრ სახელმწიფოში სამსახურის ძიების, მუშაობის, საწარმოთა დაფუძნებისა და მომსახურების მიწოდების თავისუფლება.

3. მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც გააჩნიათ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შრომითი საქმიანობის განხორციელების ნებართვა, უფლება აქვთ ისარგებლონ შრომის იმავე პირობებით, როგორც კავშირის მოქალაქეები სარგებლობენ.

**მუხლი 16.** მეწარმეობის თავისუფლება

მეწარმეობის თავისუფლება აღიარებულია კავშირის სამართლის, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად.

**მუხლი 17.** საკუთრების უფლება

1. ყველას აქვს უფლება ფლობდეს, სარგებლობდეს, განკარგავდეს და ანდერძით გასცეს მის მიერ მართლზომიერად შეძენილი ქონება. არავის შეიძლება ჩამოერთვას თავისი საკუთრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ხდება საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და პირობების არსებობისას და როდესაც მისი ჩამორთმევისთვის გათვალისწინებულია სამართლიანი კომპენსაციის გონივრულ ვადაში გადახდა. ქონებით სარგებლობის უფლება

შეიძლება რეგულირდებოდეს კანონით, იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის.

2. ინტელექტუალური საკუთრება დაცულია.

**მუხლი 18.** თავშესაფრის უფლება

თავშესაფრის უფლება უზრუნველყოფილია ყენევის 1951 წლის 28 ივლისის კონვენციისა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1967 წლის 31 იანვრის ოქმის შესაბამისად, აგრეთვე ევროპის კავშირის შესახებ და ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებების (შემდგომში – „ხელშეკრულებები“) შესაბამისად.

**მუხლი 19.** დაცვა დეპორტაციის, გაძევების ან ექსტრადიციის შემთხვევაში

1. კოლექტიური გაძევება აკრძალულია.  
2. არავინ შეიძლება დეპორტირებული ან გაძევებული იქნას ან გადაეცეს იმ სახელმწიფოს, სადაც არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ მის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას სიკვდილით დასჯა, წამება, სხვა არაადამიანური ან ღირსების შემლახველი სასჯელი ან მოპყრობა.

**პარი III. თანასწორობა**

**მუხლი 20.** თანასწორობა კანონის წინაშე

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე.

**მუხლი 21.** დისკრიმინაციის დაუშვებლობა

1. აკრძალულია ყოველგვარი დისკრიმინაცია, კერძოდ, სქესის, რასის, კანის ფერის, ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, რელიგიის თუ მრწამსის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების, ინვალიდობის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის ნიშნის მიხედვით.  
2. ხელშეკრულებების სპეციალური დებულებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, მათი გამოყენების სფეროში აკრძალულია ყოველგვარი დისკრიმინაცია ეროვნული ნიშნის მიხედვით.

**მუხლი 22.** კულტურული, რელიგიური და ენობრივი მრავალფეროვნება

კავშირი პატივს სცემს კულტურულ, რელიგიურ და ენობრივ მრავალფეროვნებას.

**მუხლი 23.** ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა

ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას ყველა სფეროში, მათ შორის დასაქმების, სამსახურებრივი საქმიანობისა და შრომის ანაზღაურების საკითხებთან მიმართებაში. თანასწორობის პრინციპი არ წარმოადგენს დაბრკოლებას არასაკმარისად წარმოდგენილი სქესის სასარგებლოდ სპეციალური უპირატესობების შენარჩუნების ან შემოღებისთვის.

**მუხლი 24.** ბავშვის უფლებები

1. ბავშვებს გააჩნიათ უფლება ისეთ დაცვასა და მოვლაზე, რაც აუცილებელია მათი კეთილდღეობისათვის. მათ შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი აზრი. ეს აზრი გათვალისწინებული უნდა იქნას იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც ბავშვებს შეეხება, მათი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.  
2. საჯარო ხელისუფლების ან კერძო ორგანიზაციების მიერ ბავშვთა მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიებისას უპირატესი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის კეთილდღეობას.  
3. ყველა ბავშვს აქვს უფლება რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება მის ინტერესებს.

**მუხლი 25.** ხანდაზმულ პირთა უფლებები

კავშირი აღიარებს და პატივს სცემს ხანდაზმულ პირთა უფლებას ეწეოდნენ ღირსეულ და დამოუკიდებელ ცხოვრებას, მონაწილეობდნენ სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

**მუხლი 26.** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაცია

კავშირი აღიარებს და პატივს სცემს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებას ისარგებლონ იმ ღონისძიებებით, რომელთა მიზანია უზრუნველყოს მათი დამოუკიდებლობა, სოციალური და პროფესიული ინტეგრაცია და საზოგადოების ცხოვრებაში მონაწილეობა.

## პარი IV. სოლიდარობა

**მუხლი 27.** ორგანიზაციის თანამშრომელთა უფლება ინფორმაციასა და კონსულტაციაზე

მუშებისთვის ან მათი წარმომადგენლებისთვის გარანტირებული უნდა იყოს შესაბამის ღონეზე დროული ინფორმირება და კონსულტაციების მიღება, კავშირის სამართლით, ეროვნული კანონმდებლობითა და პრაქტიკით გათვალისწინებული შემთხვევებისა და პირობების არსებობისას.

**მუხლი 28.** კოლექტიური მოლაპარაკებებისა და აქციების უფლება

მუშებსა და დამსაქმებებს, ან მათ შესაბამის ორგანიზაციებს, კავშირის სამართლის, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის თანახმად, უფლება აქვთ აწარმოონ მოლაპარაკებები და დადონ კოლექტიური ხელშეკრულებები შესაბამის ღონეზე და ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, საკუთარი ინტერესების დასაცავად, მიმართონ კოლექტიურ აქციებს, გაფიცვის ჩათვლით.

**მუხლი 29.** დასაქმების სამსახურებისადმი ხელმისაწვდომობის უფლება

ყველას აქვს უფლება ხელი მიუწვდებოდეს დასაქმების უფასო სამსახურისადმი.

**მუხლი 30.** დაცვა სამსახურიდან უკანონო დათხოვნის შემთხვევაში

კავშირის სამართლის, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, ყველა თანამშრომელს აქვს უფლება დაცული იყოს სამსახურიდან უკანონო დათხოვნისაგან.

**მუხლი 31.** შრომის სამართლიანი და სათანადო პირობები

1. ყველა თანამშრომელს აქვს უფლება ჰქონდეს შრომის ჯანსაღი, უსაფრთხო და ღირსეული პირობები.

2. ყველა თანამშრომელს აქვს სამუშაო საათების მაქსიმალური რაოდენობის შეზღუდვის, ყოველდღიური და ყოველკვირეული დასვენების პერიოდების ქონის, აგრეთვე ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების უფლება.

**მუხლი 32.** ბავშვთა შრომის აკრძალვა და არასრულწლოვანთა დაცვა სამუშაო ადგილზე

ბავშვთა შრომა აკრძალულია. არასრულწლოვანთათვის გათვალისწინებული უფრო ხელსაყრელი ნორმებისთვის ზიანის მიყენების გარეშე და იშვიათი გამონაკლისების გარდა, სამსახურში მიღების მინიმალური ასაკი არ შეიძლება იყოს იმ ასაკზე ნაკლები, რომელსაც უკავშირდება სავალდებულო სასკოლო განათლების პერიოდის დასრულება.

სამსახურში მიღებული არასრულწლოვნები უნდა სარგებლობდნენ მათი ასაკის შესაფერისი შრომის პირობებით და დაცულნი უნდა იყვნენ ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოსაგან, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მათ უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას, ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ თუ სოციალურ განვითარებას ან რომელმაც შეიძლება მათ ხელი შეუშალოს სწავლაში.

**მუხლი 33.** ოჯახური და პროფესიული ცხოვრება

1. ოჯახის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური დაცვა გარანტირებულია.

2. ოჯახური და პროფესიული ცხოვრების ერთმანეთთან შეთავსების მიზნით, ყველას აქვს უფლება დაცული იყოს ორსულობასთან დაკავშირებული რაიმე მიზეზით სამსახურიდან გათავისუფლებისაგან, აგრეთვე უფლება ანაზღაურებად დეკრეტულ შვებულებასა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაზე მისი შეძენის ან შვილად აყვანისას.

**მუხლი 34.** სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დახმარება

1. კავშირი აღიარებს და პატივს სცემს სოციალური უზრუნველყოფის შეღავათებისა და სოციალურ მომსახურებათა სისტემისადმი ხელმისაწვდომობის უფლებას, რომლებიც, კავშირის სამართ-

ლის, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, უზრუნველყოფენ დაცვას ისეთ შემთხვევებში, როგორცაა: ორსულობა და მშობიარობა, ავადმყოფობა, საწარმოო ტრამეები, დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნა ან სიბერე, აგრეთვე სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში.

2. ყველას, ვინც კანონიერ საფუძველზე ცხოვრობს ან გადაადგილდება კავშირის ფარგლებში, გააჩნია სოციალური უზრუნველყოფის შეღავათებითა და სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებებით სარგებლობის უფლება, კავშირის სამართლის, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად.

3. კავშირი, სოციალური გარიყულობისა და სიღარიბის აღმოფხვრის მიზნით, კავშირის სამართლის, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, აღიარებს და პატივს სცემს სოციალური დახმარებისა და საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის უფლებას, რომელიც მოწოდებულია ღირსეული არსებობით უზრუნველყოს ყველა, ვისაც არ გააჩნია საკმარისი სახსრები.

### **მუხლი 35. ჯანმრთელობის დაცვა**

ყველას აქვს უფლება ხელი მიუწვდებოდეს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სისტემასა და სამედიცინო მომსახურებაზე, ეროვნული კანონმდებლობითა და პრაქტიკით დადგენილი პირობების შესაბამისად. კავშირის პოლიტიკის ყველა მიმართულებისა და ყველა ქმედების განსაზღვრისა და განხორციელების დროს უზრუნველყოფილია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მაღალი სტანდარტები.

### **მუხლი 36. ზოგადეკონომიკური მნიშვნელობის სამსახურებისადმი ხელმისაწვდომობა**

კავშირის სოციალური და ტერიტორიული ერთიანობის ხელშეწყობის მიზნით, კავშირი აღიარებს და პატივს სცემს ზოგადეკონომიკური მნიშვნელობის სამსახურებისადმი ხელმისაწვდომობას, როგორც ეს ეროვნული კანონმდებლობითა და პრაქტიკითაა გათვალისწინებული, ხელშეკრულებების შესაბამისად.

### **მუხლი 37. გარემოს დაცვა**

გარემოს დაცვის მაღალი დონე და გარემოს ხარისხის გაუმჯობესება უნდა იყოს კავშირის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მდგრადი განვითარების პრინციპის შესაბამისად.

### **მუხლი 38. მომხმარებელთა უფლებების დაცვა**

კავშირის პოლიტიკა უზრუნველყოფს მომხმარებელთა დაცვის მაღალ დონეს.

## **პარი V. მოქალაქეთა უფლებები**

### **მუხლი 39. ევროპის პარლამენტის არჩევნებში ხმის მიცემისა და კანდიდატის რანგში მონაწილეობის უფლება**

1. კავშირის ყველა მოქალაქეს იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც იგი ცხოვრობს, გააჩნია უფლება ხმა მისცეს და კენჭი იყაროს როგორც კანდიდატმა ევროპის პარლამენტის არჩევნებში, იმავე პირობებით, როგორც ამ წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებმა.

2. ევროპის პარლამენტის წევრები აირჩევიან საყოველთაო, პირდაპირი, თავისუფალი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

### **მუხლი 40. მუნიციპალურ არჩევნებში ხმის მიცემისა და კანდიდატის რანგში მონაწილეობის უფლება**

კავშირის ყველა მოქალაქეს იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც იგი ცხოვრობს, გააჩნია უფლება ხმა მისცეს და კენჭი იყაროს როგორც კანდიდატმა მუნიციპალურ არჩევნებში, იმავე პირობებით, როგორც ამ წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებმა.

### **მუხლი 41. უფლება კარგ მმართველობაზე**

1. ყველა ადამიანს აქვს უფლება, რომ მისი საქმე კავშირის ინსტიტუტების, ორგანოებისა და სხვა დაწესებულებების მიერ განხილული იქნას მიუკერძოებლად, სამართლიანად და გონივრულ ვადაში.

2. ეს უფლება, კერძოდ, მოიცავს:

- a) ყველა ადამიანის უფლებას, მოსმენილი იქნას მისი აზრი, ვიდრე მის მიმართ მიღებული იქნება რაიმე, მისთვის არასახარბიელო, ინდივიდუალური ხასიათის ღონისძიება;
- b) ყველა ადამიანის უფლებას, ხელი მიუწვდებოდეს მასთან დაკავშირებით არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებზე, იმ პირობით, რომ დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობის, პროფესიული და კომერციული საიდუმლოების კანონიერი ინტერესები;
- c) ადმინისტრაციის ვალდებულებას დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილებები.

3. ყველა ადამიანს აქვს კავშირისაგან მისი ინსტიტუტების ან მოხელეების მიერ მათი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება, იმ ზოგადი პრინციპების შესაბამისად, რომლებიც საერთოა წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობისათვის.

4. ყველა ადამიანს შეუძლია მიმართოს კავშირის დაწესებულებებს ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელზეც შედგენილია ხელშეკრულებები და მიიღოს პასუხი იმავე ენაზე.

#### **მუხლი 42.** დოკუმენტებისადმი ხელმისაწვდომობის უფლება

კავშირის ყველა მოქალაქეს, აგრეთვე წევრ სახელმწიფოში საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული მისამართის მქონე ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს კავშირის ინსტიტუტების, ორგანოებისა და სხვა დაწესებულებების დოკუმენტებისადმი ხელმისაწვდომობის უფლება, მიუხედავად იმისა, თუ ინფორმაციის მატარებლის რა ფორმაა გამოყენებული ამ დოკუმენტებისათვის.

#### **მუხლი 43.** ევროპის ომბუდსმენი

კავშირის ყველა მოქალაქეს, აგრეთვე წევრ სახელმწიფოში საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული მისამართის მქონე ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება მიმართოს ევროპის ომბუდსმენს კავშირის ინსტიტუტების, ორგანოების ან სხვა დაწესებულებების საქმიანობაში მმართველობითი წესების დარღვევის შემთხვევაში, გარდა ევროპის კავშირის სასამართლოს საქმიანობისა, როდესაც იგი თავის მართლმსაჯულების ფუნქციებს ახორციელებს.

#### **მუხლი 44.** პეტიციის წარდგენის უფლება

კავშირის ყველა მოქალაქეს, აგრეთვე წევრ სახელმწიფოში საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული მისამართის მქონე ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება პეტიციით მიმართოს ევროპის პარლამენტს.

#### **მუხლი 45.** გადაადგილებისა და ცხოვრების თავისუფლება

1. კავშირის ყველა მოქალაქეს აქვს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილებისა და ცხოვრების უფლება.

2. ხელშეკრულებების შესაბამისად, თავისუფალი გადაადგილებისა და ცხოვრების უფლება შეიძლება მიენიჭოს მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც კანონიერ საფუძველზე ცხოვრობენ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

#### **მუხლი 46.** დიპლომატიური და საკონსულო დაცვა

კავშირის მოქალაქეები მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც იმ წევრ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან, არ გააჩნია წარმომადგენლობა, სარგებლობენ დაცვით ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების მხრიდან იმავე პირობებით, როგორც ამ სახელმწიფოს მოქალაქეები.

### **პარი VI. მართლმსაჯულება**

#### **მუხლი 47.** ეფექტიანი სამართლებრივი დაცვისა და სამართლიანი სასამართლოს უფლება

ყველას, ვისაც დაერღვა კავშირის სამართლით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები, აქვს სასამართლო წესით ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უფლება, ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კანონის საფუძველზე წინასწარ შექმნილი სასამართლოს მიერ.



ყველას შეუძლია ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით, დაიცვას საკუთარი თავი და იყოლოს წარმომადგენელი.

სამართლებრივი დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ პირთათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები, რამდენადაც ამგვარი დახმარება აუცილებელია მართლმსაჯულების ეფექტიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

**მუხლი 48.** უდანაშაულობის პრეზუმფცია და დაცვის უფლება

1. ყველა ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.
2. ყველა ბრალდებულს გარანტირებული აქვს დაცვის უფლების პატივისცემა.

**მუხლი 49.** კანონიერებისა და პროპორციულობის პრინციპები დანაშაულისა და სასჯელის განსაზღვრისას

1. არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც მისი ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არც იმ სასჯელზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს. თუკი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემდეგ კანონით დადგენილი იქნა უფრო მსუბუქი სასჯელი, გამოიყენება ეს უკანასკნელი.
2. ეს მუხლი არ გამოიცხავს პირის გასამართლებასა და დასჯას რაიმე მოქმედების ან უმოქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის მიიჩნეოდა დანაშაულად ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების მიხედვით.
3. სასჯელის სიმძიმე არ უნდა იყოს სისხლის სამართლის დანაშაულის არაპროპორციული.

**მუხლი 50.** უფლება იმისა, რომ ერთი და იგივე დანაშაულისათვის ორჯერ არ დაექვემდებარო სისხლისსამართლებრივი წესით დევნას ან დასჯას

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივი წესით ხელახლა დევნას ან დასჯას იმ დანაშაულისათვის, რომლის გამოც კავშირის ფარგლებში იგი ერთხელ უკვე საბოლოოდ იქნა გამართლებული ან მსჯავრდებული კანონის შესაბამისად.

**პარი VII. ზოგადი დებულებები ქარტიის ახსნა-განმარტებისა და გამოყენების თაობაზე**

**მუხლი 51.** გამოყენების სფერო

1. წინამდებარე ქარტია ვრცელდება კავშირის ინსტიტუტებზე, ორგანოებსა და სხვა დაწესებულებებზე, სუბსიდიარობის პრინციპის გათვალისწინებით და წევრ სახელმწიფოებზე, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ კავშირის სამართლის განხორციელებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისინი, თავიანთი შესაბამისი კომპეტენციის თანახმად და ხელშეკრულებებით კავშირისათვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლების დაცვით, პატივს სცემენ უფლებებს, იცავენ პრინციპებს და ხელს უწყობენ მათ გამოყენებას.
2. წინამდებარე ქარტია არ აფართოვებს კავშირის სამართლის მოქმედების სფეროს მისი კომპეტენციის ფარგლებს გარეთ, არც არავითარ ახალ კომპეტენციას ან ამოცანებს ქმნის კავშირისათვის და არც ხელშეკრულებებით განსაზღვრულ კომპეტენციასა და ამოცანებს ცვლის.

**მუხლი 52.** უფლებებისა და პრინციპების ფარგლები და ახსნა-განმარტება

1. წინამდებარე ქარტიით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების ნებისმიერი შეზღუდვა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით და იგი პატივს უნდა სცემდეს ამ უფლებებისა და თავისუფლებების არსს. პროპორციულობის პრინციპის დაცვით, შეზღუდვებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია და რეალურად შესაბამეა კავშირის მიერ აღიარებული საყოველთაო კეთილდღეობის მიზნებს, ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობას.

2. წინამდებარე ქარტიით აღიარებული იმ უფლებების განხორციელება, რომლებიც ხელშეკრულებებშია რეგულირებული, ხდება ამ ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობებისა და ფარგლების დაცვით.

3. ვინაიდან წინამდებარე ქარტია შეიცავს უფლებებს, რომლებიც ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპის კონვენციით გარანტირებულ უფლებებს შეესაბამება, მათ იგივე მნიშვნელობა და ფარგლები გააჩნიათ, როგორც ეს მათ აღნიშნული კონვენციით აქვთ მინიჭებული. ეს დებულება არ წარმოადგენს დაბრკოლებას საიმისოდ, რომ კავშირის სამართლით უფრო ფართო დაცვა იქნას უზრუნველყოფილი.

4. ვინაიდან წინამდებარე ქარტია აღიარებს ძირითად უფლებებს, იმ სახით, როგორც ისინი წევრი სახელმწიფოების საერთო კონსტიტუციური ტრადიციებიდან გამომდინარეობენ, მათი განმარტება ამ ტრადიციების შესაბამისად უნდა მოხდეს.

5. წინამდებარე ქარტიის ის დებულებები, რომლებიც პრინციპებს განსაზღვრავენ, შეიძლება განხორციელებული იქნას კავშირის ინსტიტუტების, ორგანოებისა და სხვა დაწესებულებების საკანონმდებლო და აღმასრულებელი აქტებით, ასევე წევრი სახელმწიფოების აქტებით, როდესაც ისინი კავშირის სამართლის რეალიზაციას ახდენენ თავიანთი შესაბამისი კომპეტენციის განხორციელების პროცესში. ისინი სასამართლოს განსჯადი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, როდესაც ასეთი აქტების ახსნა-განმარტება და მათი კანონიერების საკითხის გადაწყვეტა ხდება.

6. ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკას სრულად უნდა გაეწიოს ანგარიში, როგორც ეს წინამდებარე ქარტიითაა განსაზღვრული.

7. ის განმარტებები, რომლებიც შედგენილი იქნა როგორც წინამდებარე ქარტიის ინტერპრეტაციისას სახელმძღვანელო ინსტრუქცია, სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული კავშირისა და წევრი სახელმწიფოების სასამართლოების მიერ.

### **მუხლი 53. დაცვის ხარისხი**

წინამდებარე ქარტიის არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს როგორც შეზღუდვა ან ხელყოფა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისა, რომლებიც მათი გამოყენების შესაბამისი სფეროების ფარგლებში აღიარებულია კავშირისა და საერთაშორისო სამართლის მიერ, ასევე საერთაშორისო შეთანხმებებით, რომლებშიც მხარეებად კავშირი ან წევრი სახელმწიფოები მონაწილეობენ, მათ შორის განსაკუთრებით ევროპის კონვენციით ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ, აგრეთვე წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციებით.

### **მუხლი 54. უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა**

წინამდებარე ქარტიის არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ თითქოს იგი უფლებას ანიჭებდეს ვინმეს, ეწეოდეს ისეთ საქმიანობას ან განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს არარად აქციოს ქარტიით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები, ან ისინი იმაზე უფრო მეტად შეზღუდოს, ვიდრე ეს ქარტიით არის გათვალისწინებული.

°  
° °

ზემოთ მოცემული ტექსტი ასახავს 2000 წლის 7 დეკემბერს გამოცხადებული ქარტიის ადაპტირებულ რედაქციას და ცვლის მას ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

შესრულებულია სტრასბურგში ორიათასშვიდი წლის თორმეტ დეკემბერს.

ევროპის პარლამენტის სახელით / ჰანს-გერტ პიოტერინგი /

ევროპის კავშირის საბჭოს სახელით / ჟოზე სოკრატეში /

ევროპის კომისიის სახელით / ჟოზე მანუელ ბაროზუ /